თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის სხდომის

ოქმი #78

ქ. თბილისი 2020 წელი, 24 დეკემბერი, 17:00 საათი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

რევაზ სოხაძე, გიორგი ტყემალაძე, ვახტანგ შაქარიშვილი, დავით უთმელიძე, ჯაბა ჯიშკარიანი, თევდორე ისაკაძე

სხდომას არ ესწრებოდა კომისიის წევრი: დავით ჭელიძე, გიორგი გაბაშვილი, ნიკოლოზ ვაჩეიშვილი

სხდომის თავმჯდომარე: რევაზ სოხაძე

სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ

გაიოზ თალაკვაძე - თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი

ლევან მიქავა - თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი უფროსის მოადგილე

№	ს ა კ ი თ ხ ი ს დ ა ს ა ხ ე ლ ე ბ ა
1.	„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ(N12-032034578-03 – 10.12.2020)

კომისიის თავმჯდომარე ბატონი რევაზ სოხაძე მიესალმა კომისიის წევრებს და სხდომა გახსნილად გამოაცხადა.

ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ დღის წესრიგი დაამტკიცა.

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ(N12-032034578-03 – 10.12.2020)

საკითხი წარმოადგინა თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსმა გაიოზ თალაკვაძემ. მისი თქმით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის პროექტის მოცულობა განისაზღვრა 1 050 302,5 ათასი ლარით, რაც 2020 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან (1 021 400,6 ათასი ლარი) მიმართებაში გაზრდილია 28 901,9 ათასი ლარით, ხოლო 2021 წლის თავდაპირველად წარდგენილ ბიუჯეტის პროექტთან შედარებით გაზრდილია 210 000,0 ათასი ლარით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის პროექტით გათვალისწინებულია შემდეგი ძირითადი პრიორიტეტების დაფინანსება: სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა - აღდგენა - 174 263,8 ათასი ლარი; ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა, ექსპლოატაცია და ავარიული შენობების გამაგრება - 194 636,5 ათასი ლარი; ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნება და გაუმჯობესება - 148 944,1 ათასი ლარი; ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა - 4 164,4 ათასი ლარი; ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება - 39 157,3 ათასი ლარი; ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - 154 136,0 ათასი ლარი; განათლება - 175 094,0 ათასი ლარი; კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობა - 47 355,8 ათასი ლარი; საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება - 4 402,3 ათასი ლარი. ქ. თბილისის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები - 108 148,4 ათასი ლარი. ბ) პროექტის საფინანსო-ეკონომიკური გაანგარიშება: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 1 020 159,3 ათასი ლარის ოდენობით. მათ შორის: გადასახადები 657 355,8 ათასი ლარი| - დამატებული ღირებულების გადასახადიდან მისაღები შემოსავალი შეადგენს 462,355.8 ათას ლარს. - საწარმოთა ქონებაზე გადასახადი 160 000,0 ათასი ლარი (2020 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან მიმართებაში შემცირებულია 10 000,0 ათასი ლარით); - ფიზიკურ პირთა ქონებაზე გადასახადი 19 000,0 ათასი ლარი; - მიწაზე ქონების გადასახადი 16 000,0 ათასი ლარი. გრანტები 205 936,1 ათასი ლარი (წარდგენილ პროექტთან შედარებით| გაზრდილია 200 000,0 ათასი ლარით). - საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები 476,1 ათასი ლარი (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასა და ევროკავშირს (წარმოდგენილი ევროკომისიის მიერ) შორის 2017 წლის 27 დეკემბერს გაფორმებული საგრანტო ხელშეკრულების „ევროკავშირის გარე მოქმედებები" ENI/2017/394-803-ის ფარგლებში (ბიზნეს აქსელერატორის შექმნა მცირე და საშუალო ზომის კომპანიების მდგრადი განვითარებისათვის); - მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად 460,0 ათასი ლარი (გადამდებ დაავადებათა ეპიდემიოლოგიური კონტროლისათვის); - სახელმწიფო ბიუჯეტიდან მისაღები სპეციალური ტრანსფერი 175 000,0 ათასი ლარი. - სხვა კაპიტალური გრანტები სახელმწიფო ბიუჯეტიდან - 30 000,0 ათასი ლარი (თბილისის მყარი ნარჩენების პროექტის სესხის მომსახურების ფარგლებში დამატებული ღირებულების გადასახადის გადასახდელად - 5 000,0 ათასი ლარი,

თბილისის ავტობუსების პროექტის სესხის მომსახურების II -ფაზის ფარგლებში ავტობუსების შესაძენად და ავტობაზის მშენებლობისთვის დამატებული ღირებულების გადასახადის გადასახდელად - 25 000,0 ათასი ლარი). სხვა შემოსავლები 156 867,4 ათასი ლარი, მათ შორის:| - შემოსავალი საკუთრებიდან – 8 600,0 ათასი ლარი; - სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი – 25 000,0 ათასი ლარი; - მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის - 48 000,0 ათასი ლარი; - სანქციები (ჯარიმები და საურავები) 55 000,0 ათასი ლარი; - სხვადასხვა შემოსავლები – 20 267,4 ათასი ლარი. ჯამში სხვა შემოსავლები 2020 წლის თავდაპირველად დამტკიცებულ ბიუჯეტთან მიმართებაში შემცირებულია 46 130,0 ათასი ლარით. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის ხარჯები - განსაზღვრულია 782 466,4 ათას ლარით, მათ შორის: შრომის ანაზღაურება 72784,2 ათასი ლარით. საქონელი და მომსახურების მუხლით გათვალისწინებულია 131 892,2 ათასი ლარი, პროცენტი 7 651,0 ათასი ლარი, სუბსიდიები 275 604,6 ათასი ლარი, გრანტები 506,8 ათასი ლარი, სოციალური უზრუნველყოფა 149 499,4 ათასი ლარი, სხვა ხარჯები 144 528,1 ათასი ლარით, მათ შორის ფინანსდება ისეთი პროგრამები, როგორიცაა ბინათმშენებლობა და ავარიული შენობების გამაგრება, ქალაქის განვითარების ხელშეწყობა, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა და სხვა. არაფინანსური აქტივების ცვლილება წარმოდგენილი პროექტით არაფინანსური აქტივების ცვლილება შეადგენს - 222 228,5 ათას ლარს, მათ შორის: – არაფინანსური აქტივების ზრდა – 252 228,5 ათასი ლარი. – არაფინანსური აქტივების კლება – 30 000,0 ათასი ლარი (წარდგენილ პროექტთან შედარებით გაზრდილია 10 000,0 ათასი ლარით). ფინანსური აქტივების ცვლილება ფინანსური აქტივების ცვლილება (143,2) ათასი ლარი; –ფინანსური აქტივების კლება – 143,2 ათასი ლარი. ვალდებულებების ცვლილება 2021 წლისათვის ვალდებულებების ცვლილება (15 607,6) ათასი ლარი, რომელიც მთლიანად ვალდებულებების კლებას შეადგენს. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო 2021 წლისათვის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო განისაზღვრა 15 464,4 ათას ლარით, რაც ნიშნავს რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტი არის პროფიციტური. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის ასიგნებები შეადგენს 1 050 302,5 ათას ლარს. 2021 წლის ბიუჯეტით დედაქალაქის პრიორიტეტები განისაზღვრა: სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა - აღდგენა - 174 263,8 ათასი ლარით, რაც პირველად წარდგენილ პროექტთან (72 223.2 ათასი ლარი) შედარებით გაზრდილია 102 040,6 ათასი ლარით. პრიორიტეტის ფარგლებში საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, აღდგენა და მოვლა-შეკეთების პროგრამისათვის გათვალისწინებულია 83 908,3 ათასი ლარი, მათ შორის რაიონების გზების მოვლაშეკეთების ქვეპროგრამებისთვის ჯამში - 49 578,3 ათასი ლარი, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების ღონისძიებებისათვის - 22 655,5 ათასი ლარი (მათ შორის: თბილისის ავტობუსების პროექტის სესხის მომსახურების II ფაზის ფარგლებში ავტობაზის მშენებლობისთვის დამატებული ღირებულების გადასახადის გადასახდელად - 7 000,0 ათასი ლარი), საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის მოძრავი შემადგენლობის მოდერნიზაცია - 18 000,0 ათასი ლარი (თბილისის

ავტობუსების პროექტის სესხის მომსახურების II ფაზის ფარგლებში ავტობუსების შესაძენად დამატებული ღირებულების გადასახადის გადასახდელად), საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის სუბსიდია - 50 000,0 ათასი ლარი (მათ შორის: რეგულირებად ეკონომიკურ სფეროებში მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართული M2 და M3 კატეგორიის ავტობუსების სრულყოფილი ფუნქციონირების ხარჯები). ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა, ექსპლუატაცია და¤ ავარიული შენობების გამაგრება - 194 636,5 ათასი ლარით, რაც პირველად წარდგენილ პროექტთან (140 088,3 ათსი ლარი) შედარებით გაზრდილია 54 548,2 ათასი ლარით.. ქალაქის განვითარების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში (56 719,9 ათასი ლარი) გაგრძელდება უკვე დაწყებული პროექტების დაფინანსება, როგორიცაა ისტორიულკულტურული ძეგლების, სადარბაზოებისა, მუზეუმების და სხვა შენობების რეაბილიტაცია. გრძელდება ისეთი მნიშვნელოვანი ღონისძიებები, როგორიცაა ავარიული შენობების გამაგრება 10 000,0 ათას ლარის ოდენობით, რომლის ფარგლებშიც დაგეგმილია სავარაუდოდ 22 შენობის გამაგრება; საინჟინრო ნაგებობების და ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა და აღდგენა-რეკონსტრუქცია 24 148,4 ათასი ლარი, მათ შორის გრძელდება შეშელიძის ქუჩის მიმდებარედ დამეწყრილი უბნის საყრდენი კედლის გამაგრების მშენებლობის სამუშაოები, კახეთის გზატკეცილის მე-12 კმ-ის გადასახვევზე მდებარე გზაგამტარის სარეაბილიტაციო სამუშაოები, უნივერსიტეტის ქუჩისა და ბაგების დამაკავშირებელი ხიდური გადასასვლელის მოწყობის სამუშაოების და პარკში „მზიური“ მდებარე საბაგირო გზის სადგურის რეკონსტრუქცია-რეაბილიტაციის სამუშაოების დაწყება; პროგრამა - გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია და რეაბილიტაცია - 23 207,7 ათასი ლარი, რომლის ფარგლებში გათვალისწინებულია თბილისის მასშტაბით გარე ქსელის განვითარება 3 207,7 ათასი ლარის ოდენობით. ქვეპროგრამისათვის - კეთილმოწყობის ღონისძიებები რაიონებში გათვალისწინებულია 51 759.6 ათასი ლარი, მათ შორის, გლდანის რაიონში 6525,0 ათასი ლარი, ნაძალადევის რაიონში 5 000,0 ათასი ლარი, დიდუბის რაიონში 4 391,6 ათასი ლარი, ჩუღურეთის რაიონში 3 500,0 ათასი ლარი, ვაკის რაიონში 4 700,0 ათასი ლარი, საბურთალოს რაიონში 6 600,0 ათასი ლარი, ისნის რაიონში 5 240,0 ათასი ლარი, 5 სამგორის რაიონში 7 950,0 ათასი ლარი, კრწანისის რაიონში 3 800,0 ათასი ლარი და მთაწმინდის რაიონში 4 053,0 ათასი ლარი. ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნება და გაუმჯობესება - 148 944,1¤ ათასი ლარით, რაც პირველად წარდგენილ პროექტთან (106 218,4 ათასი ლარი) შედარებით გაზრდილია 42 725,7 ათასი ლარით. პრიორიტეტის ფარგლებში გამწვანების ღონისძიებებისათვის გათვალისწინებულია 74 298,0 ათასი ლარი, მათ შორის სკვერების მოწყობა-რეაბილიტაცია 41 773,2 ათასი ლარი (ვაკის პარკის რეაბილიტაცია, ზღვის უბნის (დენდროლოგიური) პარკის მოწყობა და ვარკეთილის II მ/რ-ში ურბანული პარკის რეაბილიტაცია-მშენებლობა), მცენარეთა შესყიდვა-დარგვა 10 008,7 ათასი ლარი, ეკოსერვის ჯგუფის ფუნქციონირების ხარჯები 17 800,0 ათასი ლარი. დასუფთავების ღონისძიებებისათვის გათვალისწინებულია 65 854,0 ათასი ლარი, მათ შორის თბილისის მყარი ნარჩენების პროექტის სესხის მომსახურების ფარგლებში დამატებული ღირებულების გადასახადის გადასახდელად 5 000,0 ათასი ლარი. თბილისის ზოოლოგიური პარკის და ბოტანიკური ბაღის განვითარების ხელშეწყობა 8 792,1 ათასი ლარი. ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა - 4 164,4 ათასი

ლარით.ш პრიორიტეტის ფარგლებში გრძელდება პროგრამა ბიზნესის სტიმულირება, რომლისთვისაც გათვალისწინებულია 1 614,4 ათასი ლარი, თბილისის განვითარების კვლევები, სტრატეგიები და პროექტები 250,0 ათასი ლარი, თბილისი - საერთაშორისო ქსელებსა და პროექტებში 140,0 ათასი ლარი, მერიის სისტემის საქმიანობის ხელშეწყობა 370,0 ათასი ლარი, თბილისში შემომყვანი ტურიზმის მხარდაჭერა 600,0 ათასი ლარი, ქალაქის საინვესტიციო პოტენციალის რეალიზაცია 190,0 ათასი ლარი, ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტების შემუშავება 1 000,0 ათასი ლარი. ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება - 39 157,3 ათასი ლარი,ш მათ შორის გლდანის რაიონში - 4 000,0 ათასი ლარი, ნაძალადევის რაიონში - 3 000,0 ათასი ლარი, დიდუბის რაიონში - 4 120,0 ათასი ლარი, ჩუღურეთის რაიონში - 4 000,0 ათასი ლარი, ვაკის რაიონში - 4 000,0 ათასი ლარი, საბურთალოს რაიონში - 3 500,0 ათასი ლარი, ისნის რაიონში - 4 940,0 ათასი ლარი, სამგორის რაიონში - 5 000,0 ათასი ლარი, კრწანისის რაიონში - 2 567,3 ათასი ლარი, მთაწმინდის რაიონში - 4 030,0 ათასი ლარი. პრიორიტეტის ფარგლებში გრძელდება მრავალბინიან საცხოვრებელ სახლებში სახურავების შეკეთება (ბრტყელი და ქანობიანი გადახურვა), ლიფტების მიმდინარე შეკეთება, შიდა წყალკანალიზაციის გაყვანილობების შეკეთება, სადარბაზოების სარემონტო სამუშაოები, 4 სართულამდე შენობის ან/და მისი შემადგენელი ელემენტების კაპიტალური გამაგრებითი სამუშაოები, სადარბაზოებში სენსორული სანათების დამონტაჟება და სხვა ღონისძიებები. ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - 154 136,0 ათასიш ლარით, რაც პირველად წარდგენილ პროექტთან (164 376,9 ათასი ლარი) შედარებით შემცირებულია 10 240,9 ათასი ლარით. პრიორიტეტის ფარგლებში ჯანდაცვის პროგრამისათვის განსაზღვრულია 20 019,3 ათასი ლარი, მათ შორის გრძელდება გადამდებ და არაგადამდებ დაავადებათა ეპიდემიოლოგიური კონტროლის, აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა აბილიტაცია, ფსიქიკური ჯანმრთელობის სათემო მომსახურება, გაფანტული სკლეროზის სამკურნალო მედიკამენტების, ძუძუს კიბოს სამკურნალო მედიკამენტების, დაავადებათა სკრინინგის და ტრანსპლანტაციის დაფინანსება. სოციალური დაცვის პროგრამებისთვის ჯამში გათვალისწინებულია 134 116,7 ათასი ლარი. პროგრამის ფარგლებში გრძელდება სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახებისათვის 18 წლამდე ასაკის თითოეულ ბავშვზე ყოველთვიური დახმარება, უფასო სწავლება მოსწავლე ახალგაზრდობის სახლებში, სასახლეში, ხელოვნების სკოლებში, სპორტულ სკოლებში და საცურაო აუზებში, თბილისის მუნიციპალური თავშესაფრის მოვლა-პატრონობა, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა, საკურორტო მომსახურება და დახმარება, საქალაქო საავტობუსო ტრანსპორტით მეტროთი რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას უფასოდ ან შეღავათით მოსარგებლე პირთა მომსახურება, წყალმომარაგების სისტემის მოწესრიგება რაიონებში, უფასო სასადილოებით მომსახურება რაიონებში, დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა საკომპენსაციო თანხები რაიონებში და სხვა. გაიზარდა უფასო სასადილოებით მომსახურება რაიონებში - 1 719,1 ათასი ლარით და განისაზღვრა 20 194,5 ათასი ლარის ოდენობით (უზრუნველყოფილი იქნება უფასო კვებით თბილისის რაიონებში მომლოდინე სიებში არსებული მოქალაქეები), სამედიცინო და სხვა

სოციალური საჭიროებების დახმარების ღონისძიებების ქვეპროგრამა დაგეგმილია 13 527,0 ათასი ლარის ოდენობით, სხვა სოციალური დახმარების ღონისძიებები რაიონებში 19 115,1 ათასი ლარი, მათ შორის, გლდანის რაიონში - 2 650,0 ათასი ლარი, ნაძალადევის რაიონში - 2 609,0 ათასი ლარი, დიდუბის რაიონში - 1 690,0 ათასი ლარი, ჩუღურეთის რაიონში 1 410,0 ათასი ლარი, ვაკის რაიონში - 1 610,0 ათასი ლარი, საბურთალოს რაიონში - 2 000,0 ათასი ლარი, ისნის რაიონში - 1 800,0 ათასი ლარი, სამგორის რაიონში - 3 026,1 ათასი ლარი, კრწანისის რაიონში - 1 100,0 ათასი ლარი, მთაწმინდის რაიონში - 1 220,0 ათასი ლარი. განათლება 175 094,0 ათასი ლარით, რაც პირველად წარდგენილ პროექტთან (162 919,0 ათასი ლარი) შედარებით გაზრდილია 12 175,0 ათასი ლარით. პრიორიტეტის ფარგლებში მნიშვნელოვანი წილი უჭირავს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელშეწყობას 143 166,9 ათასი ლარის ოდენობით, გრძელდება დაწყებული პროექტების დაფინანსება, მათ შორის: 4 ახალი საბავშვო ბაღის 7 დასრულება და 5 ავარიული საბავშვო ბაღის შენობის დემონტაჟი, მშენებლობა და გამაგრება. საზოგადოების განათლებისა და ინფორმირების ხელშეწყობის ქვეპროგრამა იზრდება 8 000,0 ათასი ლარით თბილისის მუნიციპალიტეტისა და საქართველოს 63 მუნიციპალიტეტის სასერვერი სისტემის შექმნა/გაფართოება/განახლების მიზნით. კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობა 47 355,8 ათასი ლარით, რაც პირველად წარდგენილ პროექტთან (38 814,5 ათასი ლარი) შედარებით გაზრდილია 8 541,3 ათასი ლარით. 2021 წელს გაგრძელდება კულტურის ობიექტების (თეატრები, მუზეუმი, გალერეა, საბალეტო დასი, ბიგ-ბენდი, პანთეონი) დაფინანსება, სახელოვნებო განათლების ხელშეწყობა, წარმატებული სპორტსმენი ბავშვების და მწრთვნელთა მხარდაჭერა, პარასპორტის განვითარების ხელშეწყობა, სპორტული მოედნების მშენებლობა, რეკონსტრუქცია, კულტურის დაწესებულებების მატერიალურტექნიკური ბაზის გაუმჯობესების ღონისძიებები, სპორტული, კულტურული და ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობა, კულტურის სფეროს განვითარების ხელშეწყობა (მათ შორის წიგნის ფესტივალი) და სხვა. სპორტული დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების ქვეპროგრამის ფარგლებში გრძელდება მულტიფუნქციური სპორტული ცენტრების მშენებლობა დიდ დიღომში და ვარკეთილში. საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება 4 402,3 ათასი ლარით. პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსდება პროგრამა - ცხოველთა მონიტორინგი - 3 585,2 ათასი ლარით და პროგრამა - თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების დაცვის უზრუნველყოფა - 817,1 ათასი ლარით. ქ. თბილისის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები 108 148,4 ათასი ლარით. პრიორიტეტის ფარგლებში განსაზღვრულია ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი - 2 500,0 ათასი ლარის ოდენობით და წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდი - 2 000,0 ათასი ლარის ოდენობით. ასევე, გათვალისწინებულია წინა წლებში აღებული სესხების დაფარვა, მათ შორის, თბილისის ავტობუსების პროექტის სესხის მომსახურება - 16 444,4 ათასი ლარი, თბილისის მყარი ნარჩენების პროექტის სესხის მომსახურება 614,2 ათასი ლარი, თბილისის ავტობუსების პროექტის სესხის მომსახურება II ფაზა - 3 200,0 ათასი ლარი, თბილისის მეტროს პროექტის სესხის მომსახურება - 3 000,0 ათასი ლარი. გარდა ამისა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის პროექტს ახლავს

ინფორმაციული ხასიათის დანართები: დანართი 1 – პროგრამული ბიუჯეტის შესახებ, რომელიც მოიცავს დეტალურ ინფორმაციას განსახორციელებელი პროგრამებისა და ქვეპროგრამების შესახებ, დანართი 2 - კაპიტალური პროექტების შესახებ, დანართი 3 - ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების/ქვეპროგრამების განმახორციელებელი ორგანიზაციების შესახებ, დანართი 4 - სხვა ხარჯების შესახებ, დანართი 5 - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული სსიპ-ებისა და ა(ა)იპ-ების ბიუჯეტების შესახებ, დანართი 6 - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის 9 თვის შესრულების მიმოხილვის შესახებ და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021-2024 წლების პრიორიტეტების დოკუმენტი. 2019 წლიდან ქალაქის ერთ-ერთ პრიორიტეტად დასახული იქნა გენდერულად ორიენტირებული მუნიციპალური ბიუჯეტის ფორმირება. აღნიშნული პოლიტიკის წარმოებამ ხელი შეუწყო გენდერული საკითხების ინტეგრირებას ბიუჯეტით გათვალისწინებულ პროგრამებში. შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის პროექტში გამოყენებულია თანასწორობის პოლიტიკის განხორციელების მექანიზმი, რომელიც გულისხმობს საბიუჯეტო პროცესში გენდერული ასპექტების ჩართვას.

კომისიის წევრმა ვახტანგ შაქარიშვილმა კენჭისყრის პროცესში არ მიიღო მონაწილეობა.

კომისია ხმათა უმრავლესობით მიზანშეწონილად მიიჩნევს, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (N12-032034578-03 – 10.12.2020) გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ რევაზ სოხაძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე რევაზ სოხაძე